

# ლიცენოცენტრული საშუაში



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამათეპა  
№4, 26 აპრილი, ორშაბათი, 2021 წელი

\* \* \*

ისეკ იფეთქა ქუჩის ბოლოს თეთრად ტყემაღმა,  
შეაფერადა სეკდიანი დდე, ნაცრისფერი,  
ბებერ თოვლივით კვდომა ინყეს ავმა ფიქრებმა,  
ქვეცნობიერში მივიწყებას ეძლევა ძველი...  
გაცრუებული იმედივით გადის ზამთარი,  
ისეკ უთოვლოდ, მწუხარებით, უხმოდ, ეულად,  
წუხს დედამინა — კვლავ სნეულთა თავშესაფარი,  
ერთ აკვნესებულ, ბნელ ლაზარეთს დამსგავსებულა.  
მზე უღიმღამოდ გადმოჰყურებს თითქოს სეობას,  
იებიც კრთომით შექუჩვიან ველთა სიმწვანეს,  
შველა სჭირდება, განკურნება ჩემს დედამინას,  
მოგვხედე, მზეო, ნუ მოგვაკლებ სსივთა სიმრავლეს!  
სსვას, ვის შევჩივლო, ვის მოვუხმო? — ყველა მდუმარებს,  
ისეკ ინვიმებს, ცრემლს დაიდენს ზეცა ამაღამ,  
დეღავს რიონი, ესეთქება ბრაზით ნაპირებს,  
სმაურ-დრიალით იმედს აძლევს სეკში ნამახვანს.  
ბოლოუამია! — უარესი რადა იქნება?  
რა დავახვედროთ მობრუნებულ უამს განკითხვისას?!  
მდინარის ტალღებს შეწირული მართალი გვამი?  
ქართული მინის გამყიდველის ცინიზმი მტრისა?  
ო, ღმერთო ჩვენო! ღვთისმშობელო, წმინდა მარია,  
მოგვეც წყალობა, ამატარე გოლგოთის აღმართს,  
შემაგრძნობინე სურნელება ბადის ტყემლისა,  
რომ სეკდა ჩემი გავაყოლო უგულო ზამთარს...

მარინა დონდაძე



# სცუმანი რეგიონიდან

\* \* \*



დალი ბანცაძე წარმოშობით  
ნიფიდან არის. ამჟამად ბორჯომში  
ცხოვრობს. საშურთან გარკვეული  
წლები და ნათესაური ხაზი აკავშირებს.  
ყოველდღიურობასა და ადამიანურ  
განცდებს იგი ლექსებში გადმოსცემს.

\* \* \*

ჩემი ფესვები  
იმერეთის დასაწყისია,  
ერთგულების და სიყვარულის  
სად საწყისია,  
იქ შემასწავლეს მეგობრობა  
და გმობა ავის  
და მოყვასისთვის არ დაზოგვა  
საკუთარ თავის.  
არ მისწავლია, შური, შუღლი  
და სხვათა მტრობა,  
იქ შემაყვარეს თანადგომა,  
დობა და ძმობა!  
მე გავიზარდე იმ ბედნიერ  
დღეთა შრიალში,  
სიანკარეში, გაბრწყინებულ  
ვარსკვლავთ ციაგში...  
ამ სიყვარულით მე შევქმენი  
ეს ისტორია,  
ჩემი ფესვები უსასრულო  
ქვეყნის ტოლია!..  
მე მხოლოდ წრფელი სიყვარულით  
მივდეგ ბილიკებს,  
გულწრფელობისთვის, ვიცი,  
არვინ გამაქილიკებს.

\* \* \*

ადვილად იტყვის ყველაფერს ენა,  
სულს უნდა შველა და გადარჩენა!  
ლაქუცით სიტყვებს არიგებს ყველა,  
გულწრფელ სიყვარულს ვერ იგრძნობ, ვერა!..  
მონანიება და ლოცვა ბევრი,  
რომ გამოვიხსნათ, ცოდვისგან ერი...  
უფალს შევთხოვოთ, მოგვმადლოს შველა!  
სატკივარს დავძლევთ ერთობით ყველა!..

ღვთისგან ქმნილი, შენიღბულა ეს ქვეყანა,  
ვერ გაარჩევ ნამდვილ სახეს კაცის,  
ალარა ვართ, მინის მტვერიც ალარ გვექვია,  
ალარ ვგავართ ადამიანს ამ ცის!  
დროს მივსტირი, გარდასულს და დროს – საფიცარს,  
უბოროტოს, უნიღბოს და ნამდვილს,  
უანგარო სიკეთის წლებს, საოცნებოს,  
დღეისათვის დავინყებულს, აღგვიღს.  
ორმაგ ნიღბით დაფარულა არემარე,  
სად ვიპოვო სიმშვიდე და შველა?!  
შენიღბულ სულს არაფერი ეშველება! –  
გარე ნიღბს რაღაც ეშველება.  
გულს მოსწყურდა სიყვარული – ნაღდი, წრფელი,  
ერთად უნდა შევდულაბდეთ, ერო!  
უამისოდ, არ გამოვა არაფერი,  
რაგინდ, ბევრი, შავით თეთრზე წერო!..

\* \* \*

სიმდიდრისათვის სულსაც ყიდიან  
ემშაკის შვილები,  
ცდილობენ, მოიწყონ ფერადი ცხოვრება  
ლამაზი „ვილებით“...  
ნუთუ ვერ ხვდები, შენ, უმადურო  
ადამის მოდგმავ,  
წარმავალია ეს ცხოვრება,  
მაშ, რაღას ბორგავ?!  
სუფთა სულია, რაც უფლისგან გაქვს,  
რაც გაბადია,  
სხვა, ყველაფერი  
საცთუნებელი მახე-ბადია!  
გახსოვდეს, სინდისიც რომ არსებობს  
სიმდიდრის გარდა,  
გაშიშვლებულ სულს ვერ დაფარავს  
მდიდრული ფარდა...

\* \* \*

ჩხერიმელას ხმა თუ არ გსმენია, –  
მაშ, არ გქონია ბავშვობა,  
აქ სულ სხვა სიტბო და სიყვარული,  
სულ სხვა სამყარო იშობა.  
მის ქვა-ლორღიან სანაპიროზე  
ფეხი თუ არსად დაგიცდა,  
ჩათვალე, შენი განვლილი წლები,  
შენი ბავშვობა გაგიცდა...  
თითქოს ზღაპრიდან მოისმის ხმები,  
ჩუხჩუხებს ჩხერიმელა,  
იქვე, შენს ახლოს, დიდი ხის ძირში  
თვალეებს რომ კუსავს მელა....  
ჩხერიმელაზე მიცდის წისქვილი,  
ვდგავარ საფქვაავით ხელში,  
ბავშვობის ტკბილი მოგონებების  
ბურთი მანვება ყელში...

# დ ე ბ ი უ ც ი



სათუნა ტაბატაძე ხაშურის „გორმედი“-ს კლინიკის თანამშრომელია. ლექსებს ბავშვობიდან წერს.  
 „პოეზია ჩემი სულის მყუდრო სამყოფელია.“  
 – ამბობს სამი შვილის დედა.

\*\*\*

არ ვიჩქარე – ყველაფერი გავაფუჭე,  
 ავჩქარდი და... მაინც დავაგვიანე,  
 დაღდასმული სული ველარ გავაყურე,  
 ვერ გავუგე, ვერა, ადამიანებს...  
 სადღაც გაქრა ის, იმედის ბოლო სხივიც,  
 გულში რწმენის კელაპტრად რომ ავანთე...  
 გავიყინე იმ მზერით და იმ სიცივით,  
 ავადმყოფი უფრო დამაავადეს...

\*\*\*

ნუ ებრძვი იმ ტკივილს, რაც მუდამ შენშია,  
 აცადე, დაფლითოს ყოველი აორტა.  
 შეცდომებს ნუ ითვლი, ვის აღარ შეშლია,  
 ტკივილით სულიც და სხეულიც გაორდა...  
 ზეცა დაითალხა და ფერი იცვალა,  
 სადავე მიუშვით მფრინავი რაშების,  
 ეს ქვიშის საათიც სულ ჩამოიცალა,  
 დრო დადგა ზეცაში ლექსების გაშვების...  
 ქათქათა ფიფქები უხდება იანვარს  
 და მაისს ამშვენებს ვარდების კონები,  
 სიცოცხლე მაგონებს თავნება ნიაჟქარს,  
 გვირილას – სათუთად რომ დაეკონები.  
 ნუ ებრძვი ტკივილებს, აცადე დაცხრომა,  
 თვალებით ისწავლე გრძნობათა გარჩევა,  
 ვედრებით შენდობა შესთხოვე მაცხოვარს,  
 გულწრფელად ილოცე დღეს, გადასარჩენად...

\*\*\*

რა მტკივა? –  
 სამშობლოს ტკივილი,  
 გული რომ მოგლიჯეს მკერდიდან!..  
 რას გერჩით? –  
 ასე რომ გავგწირეთ,  
 ვერ გიტანთ, ო, როგორ ვერ გიტანთ!  
 გაეჩუმდე?  
 როდემდე გაეჩუმდე?!  
 ჩვენს მინას ყვავები კორტნიან...  
 რა ვუთხრათ ჩვენს შვილებს, თაობებს, –  
 ჩვენს შემდეგ იმედით მოდიან.  
 სირცხვილო!  
 რა გიკვირთ, ქართველნო? –  
 მავანთ რომ დაივსეს ქისები!  
 ჩვენ კი, კვლავ ვიცხოვრებთ უბრალოდ,  
 ღვთისადმი რწმენით და ღირსებით...  
 მე ვინ ვარ? –  
 ქალი და დედა ვარ,  
 სულს ეწვის, რაც სტკივა, იმას ვწერ...  
 და სულ არ მალელებს, თუ ვინმეს  
 არ მოსწონს მართალი სიმართლე!

\*\*\*

თეთრად გადაპენტეთ ჩემი არე-მარე,  
 სადაც სამუდამოდ უნდა დავისვენო,  
 ბევრიც ვიცი და ბევრი ცრემლიც ვღვარე,  
 ახლა გვირილები უნდა გავისვენო.  
 თოვლისფერად მორთეთ ჩემი სასაფლაო,  
 როცა მეც, ოდესღაც, მიწას დამაყრიან.  
 ნითელი ვარდები არ გადმომაყაროთ,  
 თეთრი გვირილებით უფრო ამაყი ვარ...  
 უნდა ვეთამაშო – მოვა, არ მოვაო,  
 თუნდაც, „არა“ მითხრას მისმა ფანტელებმა,  
 თითქოს, ხელმეორედ უნდა დავიბადო,  
 როგორც გარიჟრაჟის თეთრად დათენება.



გულნარა ქელიძე პროფესიით პედაგოგი გახლავთ. წლების განმავლობაში მუშაობდა ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.  
 ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კვლავ პოეზიით იფერადებს სულს.

\*\*\*

მოგონების ფერად ფუნჯით  
 მოვხატავდი სახლის კედლებს,  
 ღობესაც ხელს შევავლებდი,  
 მოვახვევდი წნელებს – ნედლებს.  
 შუა ცეცხლსაც დავანთებდი,  
 დავაკრავდი ხსოვნის კეცებს,  
 დაზამთრებულ გულში სევდას  
 მონატრება მიასკეცებს...  
 ბავშვობას რომ მომანდომებს, –  
 გავიხსენებ ბუხრის სურნელს,  
 მშობლების სულს რომ მაგონებს  
 და სიხარულს – გამოუღვეს...  
 მოვირგებდი ფიქრის აბჯარს,  
 წარსულს გავაზაფხულებდი,  
 კერიასთან ჩურჩულებენ  
 წლები, გადანახულები...

## სურათი

ტყის მდუმარება...  
 მხოლოდ წყაროს ბუტბუტი ისმის,  
 სუფევს სიჩუმე,  
 დაბურულან ბორცვები ნისლში  
 და ვარსკვლავები  
 მოციმციმე ყვავილებს ჰგვანან...  
 და მთვარის ყანნით  
 სვამს სადღეგრძელოს  
 თამადა ღამე,  
 კუნაპეტ სახეს უფერადებს  
 შუქი სხივების...  
 ჟამი დამდგარა გაჩუმების  
 და გაკვირების...

\*\*\*

მთელი დღე დავატარებ ფიქრის გუდას,  
 ღამით კი თავს მოვხსნი...  
 სევდა შემომჯდარა ცხენზე და,  
 ვაი, რა ჩქარა მოჰქრის!  
 მომატარებს ყველაფერს, –  
 აქამდე რაც არ მინახია,  
 მერე კი გუდაში ჩატენის  
 რამდენ დარდს და ვარამს,  
 რამდენ ცრემლსაც...  
 მაინც ვიცი, ვიცი დაღლა მდე,  
 ვაი, ამ სიცილს, ამ სევდას ჩემსას!..

\*\*\*

რომ დაეუფლო ახალ მწვერვალს,  
 ნუ შეგაშინებს ცხოვრების რისხვა,  
 წინ გაგიძღვება შუქი ელვარე  
 და მაშინ შეძლებ მიზანთან მისვლას.  
 არ მოაშორო გარიჟრაჟს თვალი,  
 სიცოცხლეს გაჰყევ, მტკიცედ იარე,  
 ნუ შეგაშინებს შავი ბურუსი,  
 თუ შეგახსენებს სულის იარებს!

# ჩ ა ნ ა ხ ა ც ი



ნუკი სუხიაშვილი ხაზურის მე-3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. წერს თავისუფალ თემებს და, როგორც თავად ამბობს, – უყვარს ცნობიერება ჩარჩოებს მიღმა.

### გაზაფხულის სურნელი

დადგა გაზაფხული. ირგვლივ საამური სურნელი დატრიალდა. ჩიტები თანდათან ბრუნდებიან თბილი ქვეყნებიდან. მზის სხივებმა მარგალიტები აათამაშეს მინდვრის ნამზე... ზამთარი კუდს იქნევს, არ სურს, დანებდეს და ცდილობს, კვლავ სუსხი შემოაპაროს ქალაქს. თუმცა, ამაოა მისი ცდა, – კანონზომიერების დრო დადგა! ყველა და ყველაფერი იბრძვის სიცოცხლისთვის!.. მეორედ მოსვლის სიხარულით იმოსებიან მცენარეები. მარადმწვანე ხეები ამაყად უმზერენ მათ და, ვინ იცის, რას ფიქრობენ... მოდის გაზაფხული და ყველა და ყველაფერი იღვიძებს. ზამთრის სიცივიტო გაყინული სამყარო თბება...

ბუნების გამოღვიძებამ ერთ ალუნერელი ემოციები გაუჩინა ბავშვებს. ბავშვების გულის გასაღებია გაზაფხული. საკმარისია, ეს გასაღები გადაატრიალო და, ხალისი ბრუნდება, ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდება და იწყება თავგადასავლები!

დროში მოგზაურობა შეუძლებელია, მაგრამ მაშინ, რატომ მიანიჭა ღმერთმა ადამიანს ილუზიის უნარი? იმიტომ, რომ ოცნებების რეალობად ქცევას საძირკველი სჭირდება. მიზანდასახული ადამიანი ამ საძირკველზე აშენებს მომავალს. რა შუაშია გაზაფხული და მიზანდასახულობა?! – სწორედ რომ, შუაშია! ჩვენ ხომ ბავშვური ოცნებების ტყვეობაში ვართ, და ამ საკნის გასაღები კი გაზაფხულია. ჰოდა, ჩვენი ოცნებების ასრულების ხანაც დამდგარა! ბუნების კანონზომიერება მართავს სამყაროს: წელიწადის დროები, სიცოცხლის თითოეული ეტაპი, სიკვდილ-სიცოცხლე, ბნელ-ნათელი...

გისურვებთ, ძლიერ, საუკეთესო საძირკველზე ააშენოთ მომავალი! გაზაფხულს გილოცავთ!!!

### ჩემი ციხესიმაგრე

ცოდნა ჩემი ციხესიმაგრეა! მხოლოდ მაშინ ვარ ყველაზე ლალი და თამამი, როცა საკუთარ შესაძლებლობებში ვრწმუნდები. ცოდნა უჩინარი განძია, რომლის მარცვალსაც შეუძლია, შენი ცხოვრება ააღორძინოს. ის წვიმიანი დღეები კი, რომელიც გზადაგზა გვხვდება, ადამიანის სათუთ გრძნობებს ფეხქვეშ რომ თელავს და თქემით ასველებს, ამავდროულად, მარცვალს გაზრდაში და გაძლიერებაშიც ეხმარება. აი, თუკი ამ გამოცდას გაუძლებთ, ჩვენს სულში ახალ-ახალი ყვავილები გაიფურჩქნება.

ამბობენ, ყველაზე ძნელი საკუთარ თავთან ბრძოლააო. ცოდნის მიღება კი, ბრძოლა კი არა, წადილია უკეთესობისკენ! თუმცა, დღესდღეობით, გაუფასურებულია ეს შეუფასებელი და სამყაროს შემცველ-მამოძრავებელი განძი. ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ ზოგადად, ადამიანის გონება შეუცნობლისკენ ისწრაფვის. მიუწვდომელი და შორი მეტად გვიზიდავს. თუ გაქვს ოცნება და გსურს, ფრთები შეასხა, ბრძოლა ახლავე დაიწყე, ნუ ელოდები ხვალინდელ დღეს, მიიღე ცოდნა და გაიყოლე ცხოვრების ველზე, როგორც იარაღი! ნუ გეშინია გამონვევების. გახსოვდეს, ცოდნა ფარხმლიანი მცველია, რომელიც დაცემის უფლებას არ მოგცემს.

ვაღიაროთ, რომ ხშირად მატერიალური განსაზღვრავს ყოფას. ეს დიდი გამოცდაა, რომლის ანკესმაც, სამწუხაროდ, ბევრი იმსხვერპლა! თუმცა, ღირსეული ადამიანი უძლებს გამოცდას და დროს ელოდება. ბევრი გვინახავს უზრუნველად მყოფი, მაგრამ, ამით რა?! სადმე გინახავთ, რომ ვირი ოქროს უნაგირმა რაშად აქციოს?!

ძალიან დიდი შრომით აიგება ცოდნის ციხესიმაგრე! „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“...

მჯერა, ეს ის ციხესიმაგრეა, რომელმაც ჩემი და შენი მომავალი უნდა შეიფაროს!

# ყ ვ ა ლ ი ნ ა თ ე ლ ი

ეთერი ახლელაინი - 80



ომარ ინასარიძის ნახატი

სამი აპრილის მოღრუბლული დღე გათენდა... უწვრილესი წვეთები ნელ-ნელა დაგორდნენ დედამინისაკენ...

დღეს 80 წელი შეუსრულდებოდა ხაზურის ღვანლმოსილ ქალბატონს, ჩემთვის კი, უნახავ, მაგრამ ძალზე ახლობელ, საამაყო დედამთილს – ეთერ ახლელაინს.

30 წელი გასულა მის გარემე... თუმცა, წლებმა ვერ გაახუნა მისი ღვანლი რაიონისა და მეგობრების მიმართ, არც მის სიკეთეს, სიყვარულს და ადამიანური ურთიერთობების ნიჭს მიეცა დავინყება. ადამიანთა გულები დღესაც, მისადმი

მოწინებითა და მოგონებებით არიან სავსენი. ეს ყველაფერი კი, მის ოჯახს, მის შთამომავლობას კიდევ ერთ სწორ ქვაკუთხედად წაადგება ცხოვრების ესოდენ რთულ გზა-ბილიკებზე.

ქალბატონი ეთერის 80 წლისთავთან დაკავშირებით მომცრო კრებული დაისტამბა მისი თანამეცხედრის ომარ ღონღაძის ინიციატივით. იგი საოცარი მაგალითია იმისა, თუ როგორ გაუხუნრად შეიძლება გიყვარდეს გარდაცვლილი მეუღლე და ღირსეულად მიაგებდე პატივს მის ხსოვნას.

3 აპრილს კიდევ ერთხელ გაიხსენეს ქ-ნ ეთერი მისმა ნათესავებმა, მეგობრებმა, მეზობლებმა. თითქოს დრო არც გასულა, ახალგაზრდული შემართებით, სილაღითა და სიცოცხლის მარადიული ზეიმით, ანთებული თვალებით ყვებოდნენ მისი თანამედროვენი ქ-ნი ეთერის მიერ შექმნილ ეპოქას გასული საუკუნის 80-იანი წლებისა, მასთან დაკავშირებულ გარდასულ წლებსა და დღეებს...

ეს ისტორიაა – ჩვენი ოჯახის ისტორია, მოგონებებით გაჯერებული და სიყვარულით სავსე, რომელიც ესტაფეტასავით დაგვიტოვა სულმნათმა ქალბატონმა.

დროს თავისი მიაქვს... მაგრამ, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ნამდვილად არ მთავრდება.

ჩემი ჩანახატის ნაწყვეტი მახსენდება, რომელიც ქ-ნ ეთერს 2011 წელს მივუძღვენი:

„... ეს, მე ვარ – ქალი, რომელიც შენს საყვარელ ოჯახში ფუს-ფუსებს... მე ვარ, მე, მაცნე და დაკარგული კი არა, შენი შვილის მეუღლე და მესაიდუმლე! ეს მე ვარ, ვისაც დაუსწრებლად, უნახავად უყვარხარ, რახანია... ჩემში ტრიალებს ეს ყველაფერი და გარეთ არ მინდა გამოვუშვა...“

... ბურუსით ივსება ოთახი... ვიცი, უნდა გავყვე ამ სითეთრეს... უკვე ბუნდოვნად ვხედავ მას. აი, ადგა, ორივე ხელი გამალა, გულში შვილივით ჩამიკრა, მომეფერა... ცრემლი ვიგრძენი... და უხმო ნათქვამი მთელს სხეულში ერთ მთლიან პასუხად ჩამეღვარა:

– ვიცი, შენ ხათუნა ხარ!”  
მარადიული ხსოვნა მის ლამაზ სულს...

ხათუნა ჩიტაძე